სამეცნიერო ხარისხის მოპოვება DAAD/OSI (3 წელი)

მიზნობრივი ჯგუფი:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ჰუმანიტარული, საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებს. ამ კატეგორიას მიეკუთვნება სოციოლოგია, პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, იურისპუდენცია, ეკონომიკა, საზოგადოებრივი მართვა, განათლების მენეჯმენტი და ფილოსოფია. გამონაკლის შემთხვევებში საბუთების შემოტანა შეუძლიათ ასევე სხვა სპეციალობის წარმომადგენლებს, თუკი მათი პროფესია მოიაზრება სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების რანგში.

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული მაგისტრის დიპლომი. განაცხადის შემოტანა შეუძლიათ ასევე ხუთწლიანი სწავლების კურსდამთავრებულებს. კონკურსანტებმა განაცხადის შემოტანისას უნდა წარადგინონ გერმანელი პროფესორის თანხმობა

კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები:

სადოქტორო სტიპენდიით დაინტერესებულ პირებს არ შეუძლიათ განაცხადის შემოტანა, თუ ისინი ამჟამად საზღვარგარეთ სწავლობენ მაგისტრატურის მეორე კურსზე. მათ ჯერ უნდა დაასრულონ სწავლა, დაბრუნდნენ საქართველოში და შემდეგ შემოიტანონ განაცხადი.

კონკურსანტმა, რომელიც სადოქტორო სტიპენდიაზე აკეთებს განაცხადს, 31 ოქტომბრამდე უნდა წარადგინოს გერმანელი პროფესორის მოწვევა. სტრუქტურირებულ სადოქოტორ პროგრამის მსურველ კონკურსანტს კი უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტთან კონტაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლიდანაც ცხადი გახდება, რომ ის აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წინაპირობებს და მისი მიღების საკითხი განიხილება.

კანდიდატებს, რომელთაც დაცული აქვთ სამეცნიერო ხარისხი არ აქვთ უფლება მეორედ მიიღონ მონაწილეობა პროგრამაში სადოქოტორო ხარისხის მისაღებად. სამაგისტრო კურსისაგან განსხვავებით, სადოქტორო სტიპენდიით დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ თვითონ მოიძიონ უნივერსიტეტი

ენის ცოდნა:

გერმანიაში სასწავლებლად გერმანული ენის კარგი ცოდნა აუცილებელი პირობაა.

კონკურსის მონაწილეები, რომელთაც არ აქვთ უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი ენის სერტიფიკატი, გაივლიან OnDaF-ის ტესტს. ინგლისურენოვანი კოკურსანტები თვითონ წრუნავენ ენის სერტიფიკატის წარდგენაზე.

ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად გერმანიაში სასწავლო პროცესის დაწყებამდე კონკურსანტებს ხშირ შემთხვევაში ენიშნებათ ორთვიანი ენის კურსი სამშობლოში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კურსისი გაგრძელება გერმანიაში. ენის კურსში მონაწილეობა სავალდებულოა.

საჭირო საბუთები:

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ოთხ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, სამი ასლი). მოწმობები ნოტარიუსის გარდა მოწმდება შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის მიერ. ფორმულარი ივსება გერმანულ ან ინგლისურ ენაზე. თარგმანები სრულდება გერმანულ ან ინგლისურ ენაზე.

- **Online**- ფორმულარი

  თუ შეიძლება ფორმულარში მიუთითეთ თქვენს მიერ მოცემული სიიდან შერჩეული სამი უნივერსიტეტი პრიორიტეტების მიხედვით.

  1 ოქტომბრიდან ყოველ პარასკევს, DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში, 16.00-18.00 სთ.-მდე მოეწყობა საკონსულტაციო შეხვედრები კონკურსანტებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ონლაინ ფორმულარის შევსების ტექნიკით. დასწრება თავისუფალია.

- ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)

- 4 ფოტოსურათი (გთხოვთ სურათი ჩააკრათ სააპლიკაციო ფორმაში მითითებულ ადგილას)

- სამეცნიერო პუბლიკაციების სია

- დაგეგმილი სადისერტაციო პროგრამის დაწვრილებითი აღწერა (კვლევითი და სამუშაო გეგმასთან ერთად)

- გერმანელი პროფესორის თანხმობა ხელმძღვანელობაზე, რომელიც კონკრეტულად ეხება სადისერტაციო მასალას
- გერმანელ პროფესორთან შეთანხმებული (მის მიერ ხელმოწერილი) დროისა და ადგილის გეგმა
- ორი ქართველი პროფესორის რეკომენდაცია (ივსება შესაბამისი ფორმულარი)

- დიპლომები და ნიშნების ფურცელი

  მაგისტრატურა დამთავრებული კონკურსანტები წარადგენენ ბაკალავრის და მაგისტერი დიპლომებს ნიშნების ფურცელთან ერთად.

  მაგისტრატურის სტუდენტები წარადგენენ ბაკალავრის დიპლომს და ცნობას, რომ ისინი ირიცხებიან მაგისტრატურაში.

  მას შემდეგ რაც დიპლომები ითარგმნება გერმანულ/ინგლისურ ენაზე საჭიროა მათი ნოტარიული ან უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმება. ინგლისურ ენაზე გაცემული დოკუმენტები თარგმანს აღარ საჭიროებს.

- საშუალო სკოლის ატესტატი. დამოწმებული ასლი და დამოწმებული თარგმანი (მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ/ინგლისურ ენაზე საჭიროა მისი ნოტარიული დამოწმება).

- ენის სერტიფიკატი

გერმანული ენის შემთხვევაში:

თუკი კონკურსანტი არ ფლობს მის მიერ შერჩეული უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილ ენის სერტიფიკატს (დამატებითი ინფორნაცია გთხოვთ მოიძიოთ უნივერსიტეტის საიტზე) მისთვის

სავალდებულოა DAAD-ს მიერ შემოთავაზებული OnDaF ტესტის გავლა (www.ondaf.de) და შესაბამისად 31 ოქტომბრამდე რეგისტრაციის ცნობის წარდგენა წარდგენა.

OnDaF - ტესტზე რეგისტრაცია დაიწყება **29** ოქტომბერს და გაგრძელდება **2** ნოემბრის ჩათვლით . **09.00-17.00** სთ **-** მდე **.** რეგისტრაციისათვის მიმართეთ საქართველოს გოეთეს ინსიტუტს ზანდუკელის ქ .16. საკონტაქტო პირი ეკა კილაძე - ღვინაძე (პირველი სართული). ტელ . +995 32 93 89 45

გამოცდა ჩატარდება **5, 6, 7, 8, 9** ნოემბერს

გამოცდის დროები (ყოველ ერთ საათში ერთხელ)

10.00 – 11.00, 11.00 – 12.00, 12.00 – 13 .00, 13.00 – 14.00, 14.00 – 15.00, 15.00 – 16.00

გთხოვთ **,** რეგისტრაცაზე მისვლამდე ზემოთ მოცემული დღეებიდან და საათებიდან ყურადღებით შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი!

გთხოვთ რეგისტრაციისას თან იქონიოთ გამოცდის საფასური **15** ლარი და **პირადობის მოწმობა !**

ინგლისური ენის შემთხვევაში:

განაცხადის შემოტანისას კონკურსანტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობა (TOEFL; IELTS, ანუ მის მიერ შერჩეული უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილ ენის სერტიფიკატი), ან ტესტზე რეგისტრაციის ფურცელი (ამ შემთხვევაში გასაუბრებაზე თებერვლის თვეში ის წარადგენს სერტიფიკატს).

- პრაქტიკის დამადასტურებელი ცნობა.

კონკურსის ყველა მონაწილე, რომელიც 2012 წლის 31 ოქტომბრამდე ჩააბარებს სრულყოფილ საბუთებს, 2013 წლის თებერვლის შუა რიცხვებში მოწვეულ იქნება გასაუბრებაზე.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას მოცემული თანმიმდევრობით!
არასრული საბუთები არ განიხილება!

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 2012 წლის 31 ოქტომბერი (18:00 სთ)